

**სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფა -
ძირითადი გამოწვევები
[პოლიტიკის დოკუმენტი]**

**ირმა გრძელიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო საბჭოს წევრი**

პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა CSS-ის პროექტის “ამერიკული მოდელის სადოქტორო განათლების განვითარება საქართველოში” აშშ საელჩოს კურსდამთავრებულთა საგრანტო პროგრამის დაფინანსებით

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში მთავარი აქცენტი კეთდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ პროცესში არსებულ ძირითად გამოწვევებზე, კერძოდ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების დროს გამოვლენილ რჩევებსა და რეკომენდაციებზე, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს სადოქტორო პროგრამების მომზადების პოლიტიკაზე. ნაშრომის შექმნისას ავტორი დაეყრდნო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში შექმნილი დასკვნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს, ასევე, ამ მიმართულებით თსუ-ს გამოცდილებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და გარე შეფასების მომზადების პროცესებში.

უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ქართული საკანონმდებლო აქტები (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ¹, საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ², საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება³) განმარტავს თუ რომელი საფეხურისაა სადოქტორო საგანმანათლებლო

1 საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; მიღების თარიღი 21/12/2004; 2021 წლის 14 დეკემბრის რედაქცია; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=91> ; ბოლოს ნანახია 27/12/2021.

2 საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; მიღების თარიღი 21/07/2010; 2021 წლის 16 მარტის რედაქცია; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=20> ; ბოლოს ნანახია 27/12/2021.

3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3; 2020 წლის 3

პროგრამა, ვის შეიძლება ჰქონდეს სადოქტორო პროგრამა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ვინ არის უფლებამოსილი მინიჭოს დოქტორის ხარისხი, რა პროცესი უნდა გაიაროს დაწესებულებამ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისთვის, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლას ან დაწესებულებისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმას, როგორი უნდა იყოს შეფასების სისტემა სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის და ა.შ. აღნიშნული პროცედურების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება მეტნაკლებად უზრუნველყოფს სადოქტორო განათლების ხარისხს, თუმცა, კვლავ რჩება საკითხები, რომელიც მათი დაფარვის ზონაში ვერ ექცევა.

<p>უმაღლესი განათლების შესახებ კანონი</p> <ul style="list-style-type: none"> • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განთავსებულ სწავლის შედეგებს; • მუხლი 30 – სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიანიჭებელი ორგანო. • მუხლი 49 - 1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არსაქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელშეწყობით, უფლის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ემპირიკულ შედეგებს. ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მოთვლილ სამეცნიერო საზოგადოებაში. 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. 4. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით. 	<p>განათლების მინისტრის N3 ბრძანება - მუხლი 4</p> <ul style="list-style-type: none"> • 8. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/სამშენებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მონდევრო სტრუქტურაში, რომელზე სტუდენტი დაასრულეს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/სამშენებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთეულად (დასკვნითი შეფასებით). შეფასების გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რეგულატორი მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები. 17. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების ხისტემა: • 17. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების ხისტემა: <ul style="list-style-type: none"> • ა) ფრადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; • ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წყვეტულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; • გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წყვეტულ მოთხოვნებს აღემატება; • დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წყვეტულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; • ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წყვეტულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. • ვ) არადაკმაყოფილებელი (insufficient) – არადაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს • წყვეტულ მოთხოვნებს მასში არსებული შინაშელოცვანი ხარვეზების გამო; • ზ) სრულიად არადაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წყვეტულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
<p>განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონი</p>	

გარდა ზემოთჩამოთვლილი ნორმატიული აქტებისა, საქართველოში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის სტანდარტები⁴ და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები⁵, ასევე, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო⁶.

ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო

- *3 კომპეტენცია - ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
- სასწავლო კომპონენტი - 60 ECTS კრედიტი
- სწავლების ხანგრძლივობა - არანაკლებ 3 წელი

ინსტიტუციური ავტორიზაცია (სტანდარტი 6. - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა)

- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა
- დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში
- კვლევითი/განვითარების/შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვა

პროგრამული აკრედიტაცია

- *2.4 პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროცესში ჩართვას.
- *3.2 მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
- *4.1 სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/სამეცნიერო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო/სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

სტანდარტები სადოქტორო განათლების შეფასებას განსაზღვრავენ როგორც ინსტიტუციის, ისე პროგრამის ქრილში და მათში ასახულია სწავლების ამ საფეხურის ძირითადი მახასიათებლები, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო კი განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს იმისათვის, რომ მიენიჭოს კონკრეტული დარგის დოქტორის კვალიფიკაცია.

გარდა რამდენიმე კომპონენტისა, სადოქტორო განათლებაზე სპეციფიკური აქცენტი აკრედიტაციის სტანდარტების დოკუმენტებში არ არის მოცემული და აღნიშნული საფეხურის პროგრამები საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მსგავსად ფასდება.

4 „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება, დანართი N3; 2021 წლის 6 აგვისტოს რედაქცია; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1031755?publication=46> ; ბოლოს ნანახია 27/12/2021.

5 “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება, დანართი N3; 2021 წლის 15 მარტის რედაქცია; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1320588?publication=23> ; ბოლოს ნანახია 27/12/2021.

6 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება; 2021 წლის 4 ნოემბრის რედაქცია; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4480034?publication=7> ; ბოლოს ნანახია 27/12/2021.

სადოქტორო განათლების შესახებ საქართველოში 2012⁷, 2014⁸ და 2020⁹ წლებში არაერთი კვლევა ჩატარდა ავტორის/ავტორთა ჯგუფების მიერ. თითოეული ავტორი საუბრობს, თუ რა მექანიზმები არსებობს სადოქტორო განათლების და მისი ხარისხის შესაფასებლად საქართველოს რეალობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების მიერ მოცემული რეკომენდაციები წლების განმავლობაში მეორდება და ისინი უმეტესწილად ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მატერიალური/ფინანსური/ადამიანური რესურსის სიმცირე, ქსელური მუშაობის დეფიციტი, ერთობლივი პროგრამების სიმცირე, დისერტაციების ხარისხი, დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისების დაბალი ხარისხი, პუბლიკაციების გამოქვეყნების სიმცირე, დაფინანსების პრობლემები, პროგრამის დასრულების დაბალი მაჩვენებელი, სტატუსშეჩერებული სტუდენტების პრობლემები, შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები, საკანონმდებლო ჩარჩო, ეთიკური საკითხები და სხვ.

ნაშრომების შედარებითი ანალიზისას ცხადი გახდა, რომ წლების განმავლობაში ქართული რეალობა სადოქტორო განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა და კვლავ ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდულად გარკვეული ცვლილებები შედის სხვადასხვა დოკუმენტში, იცვლება სტანდარტის ფორმულირება და ა.შ.

ზალცბურგის 2005 პრინციპების დოკუმენტის მიხედვით¹⁰, სადოქტორო სწავლების ძირითადი კომპონენტი არის ცოდნის გადრმავება ორიგინალური კვლევის საშუალებით. ყველა დანარჩენი პრინციპი ემსახურება სადოქტორო სწავლების აღნიშნულ ძირითად კომპონენტს, ესენია: ინსტიტუციური სტრატეგიები და პოლიტიკები; მრავალფეროვნების მხარდაჭერა; დოქტორანტების როგორც ახალგაზრდა მკვლევრების აღიარება; სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და შეფასების როლი; კრიტიკული მასის მიღწევის საჭიროება; 3-დან 4 წლამდე პროგრამის ხანგრძლივობა, როგორც წესი; ინოვაციური სტრუქტურების წახალისება,

7 ჯავახიშვილი ნ. და ავტორები (2012). სადოქტორო განათლება საქართველოში - კვლევის ანგარიში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ტემპუსის პროექტი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/Doctoral%20Education%20in%20Georgia%20-%20ge.pdf> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

8 გურჩიანი ქ. და ავტორები (2014). სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ტემპუსის პროექტი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/PhD%20Quality%20Enhancement%20ge.pdf> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

9 დარჩია ი. (2020), სადოქტორო განათლება საქართველოში ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის კონტექსტში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/316WD41> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

¹⁰ Salzburg 2005 – Conclusions and Recommendations, EUA, ხელმისაწვდომია: <https://eua.eu/resources/publications/626:salzburg-2005-%E2%80%93-conclusions-and-recommendations.html> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

მობილობის ზრდა, დაფინანსების უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი 2010¹¹ და 2015¹² წლებში გადამუშავდა და ტრანსფორმირდა სადოქტორო განათლების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, თუმცა, ამოსავალი წერტილი კვლავ კვლევა და კვლევითი პროდუქტი დარჩა. ამასთანავე, ზალცბურგი II¹³ დოკუმენტი ცალსახად მიუთითებს, სადოქტორო განათლების წარმატებისთვის არ არის აუცილებელი პირობა კრედიტების იმგვარად გაანგარიშება, როგორც ეს ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში; წარმატებული სადოქტორო განათლების სისტემა გულისხმობს კვლევის იმგვარი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც წახალისებს ენთუზიაზმს, ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებითობას და არ იქნება კრედიტების მოგროვებაზე ორიენტირებული. 2015 წელს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ გამოცემულ პუბლიკაციაში - „სადოქტორო განათლება - ზალცბურგის პრინციპების განვითარება, განხორციელება და ახალი გამოწვევები“¹⁴ წინა პლანზე ინაცვლებს ისეთი საკითხები, როგორიცაა „ღია“ მეცნიერება (Open Science), დიגיტალიზაცია, კვლევითი საქმიანობის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება, კვლევითი გარემოს შექმნა თანმდევი ინფრასტრუქტურული რესურსით, სამეცნიერო ხელმძღვანელების გადამზადება, საერთაშორისო შესაძლებლობების განვითარება, ე.წ. Co-tutelles-ს ხელშეწყობა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ნათლად განმარტავს, რომ სადოქტორო განათლება აგებს ხიდებს უნივერსიტეტებსა და საზოგადოებას შორის.

2020 წელს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო საბჭომ ყოველწლიურ თემატურ სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა.¹⁵ აღნიშნული შეხვედრა ორიენტირებული იყო ახალგაზრდა მკვლევრებისა და დოქტორანტების აკადემიური კარიერის განვითარების საკითხებზე. შეხვედრაზე წინამდებარე ნაშრომის ავტორმა ევროპულ კოლეგებს წარუდგინა სადოქტორო განათლების სფეროში საქართველოში არსებული ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები. მოხსენების მიზნებისთვის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვილ იქნა 2018-2019 წლებში აკრედიტებული სადოქტორო

11 Salzburg II Recommendations – European Universities’ Achievements since 2005 in Implementing the Salzburg Principles, EUA, ხელმისაწვდომია: <https://eua.eu/resources/publications/615:salzburg-ii-%E2%80%93-recommendations.html> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

12 Doctoral Education - Taking Salzburg Forward: Implementation and New Challenges, EUA, ხელმისაწვდომია: <https://eua.eu/resources/publications/354:doctoral-education-taking-salzburg-forward-implementation-and-new-challenges.html> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

13 Salzburg II Recommendations – European Universities’ Achievements since 2005 in Implementing the Salzburg Principles, EUA, ხელმისაწვდომია: <https://eua.eu/resources/publications/615:salzburg-ii-%E2%80%93-recommendations.html> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

14 Doctoral Education - Taking Salzburg Forward: Implementation and New Challenges, EUA, ხელმისაწვდომია: <https://eua.eu/resources/publications/354:doctoral-education-taking-salzburg-forward-implementation-and-new-challenges.html> ბოლოს ნანახია 27/12/2021.

15 Academic career development, 2020 EUA-CDE Thematic Workshop <https://eua.eu/events/100:2020-eua-cde-thematic-workshop.html>

საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა დასკვნები და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები. ასევე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის გაანალიზდა 2020-2021 წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში 32 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს 204 სადოქტორო პროგრამას, საიდანაც 57 კერძო, ხოლო 147 საჯარო ინსტიტუციაში ხორციელდება. აქვე, ამ პროგრამებზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ირიცხება 3757 დოქტორანტი, რომელთაგან 2934 სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 823 კერძო ინსტიტუციაში სწავლობს¹⁶.

	2018	2019	2020	2021
სადოქტორო პროგრამების რაოდენობა	46	38	31	49
ახალი სადოქტორო პროგრამების რაოდენობა	7	7	13	7
სრულად აკრედიტებული	24	31	9	21
აკრედიტაცია პირობებით	12	5	17	23
უარი ეთქვა აკრედიტაციაზე	10	2	5	5

სქემა. სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო წარმოებათა რაოდენობა 2018-2021 წლებში¹⁷

2018-2019 წლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ დაწერილ დასკვნებში გამოიკვეთა რეკომენდაციების შემდეგი მიმართულებები: ხარისხის უზრუნველყოფა და ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის შინაარსი, პერსონალის განვითარება, მატერიალური და ფინანსური რესურსები, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები. წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გაანალიზების შემდეგ შესაძლოა ითქვას, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 2018-2019 წლებში ძირითადი აქცენტი აკრედიტაციის მეორე სტანდარტზე გაკეთდა და მათი ყურადღება უმეტესწილად სწორედ პროგრამის შინაარსს და სტრუქტურას ეთმობოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ წლებში აკრედიტაციის პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი უცხოელი ექსპერტები და ამ პერიოდში გაცემული რეკომენდაციები შინაარსობრივად დიდწილად ორიენტირებულია სერვისების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

რაც შეეხება 2020-2021 წლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ისინი რამდენიმე მიმართულებას ეხება, კერძოდ: შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

16 სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ 2021 წლის 27 დეკემბერს მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია

17 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ <https://eqe.ge/ka/page/static/973/daskvnebi-gadatsyvetilebebi>

შესაბამისობა, პროგრამის ბიუჯეტი და მდგრადობა, სწავლის შედეგების ფორმულირება კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, სწავლის შედეგების რუკა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს აკრედიტებულ პროგრამათა გადაწყვეტილებებში საკმაოდ უხვია რჩევები რეკომენდაციებთან შედარებით, თუმცა, სხვაობა მათ შორის, თუ რომელია რჩევა და რომელი რეკომენდაცია, რთული დასადგენია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია თუ ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და სხვა ელ. რესურსების გამოყენების საჭიროება გვხვდება რჩევათა ველში და არა რეკომენდაციებში. ამავე პროგრამებში საკმაოდ მცირეა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და ამ შემთხვევებშიც კი, საუკეთესო პრაქტიკის ნაცვლად რეალურად პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი რუტინული საჭიროებებია მითითებული: მაგალითად, *„პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დანერგილია კონსულტაციის სპეციფიური ფორმატი: ჯგუფური განხილვები; საკლავო საკითხების განხილვის პროცესში დოქტორანტისა და ხელმძღვანელის გარდა პროგრამის დანარჩენ დოქტორანტებსაც ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად მონაწილეობენ განხილვაში. ყველა გამოთქვამს საკუთარ შეფასებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ჯგუფური განხილვების, მოსაზრებებისა და იდეების გაცვლის პროცესი ნაყოფიერად აისახება დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის პროგრესულ განვითარებაზე“*. წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ **აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ პროგრამების შეფასებისას გაცილებით დიდი ოდენობითაა წარმოდგენილი რჩევები, ვიდრე რეკომენდაციები, ხოლო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება.**

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ერთი და იგივე პროცესი შეიძლება იყოს როგორც საუკეთესო პრაქტიკის, ისე რჩევის ან რეკომენდაციის საფუძველი არათუ სხვადასხვა უნივერსიტეტში, არამედ ერთი ინსტიტუციის ფარგლებშიც კი, რაც მიუთითებს არსებული რეალობისა და სტანდარტის არაერთგვაროვან გაგებაზე.

სადოქტორო განათლების ძირითადი პროდუქტი არის რა კვლევითი ნაშრომი, სწორედ აღნიშნულს უნდა ემსახურობდეს განათლების ამ საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფაც. თუმცა, ქართველი ექსპერტები თავს არიდებენ კვლევით პროდუქტზე საუბარს რეკომენდაციებისა თუ რჩევების ველში.

ევროპული გამოცდილებისა და ქართული რეალობის შედარებისას, ვეფუძნებით რა სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოყოფილ რჩევებსა და რეკომენდაციებს, შეგვიძლია, გამოვყოთ შემდეგი ასპექტები:

- ქართველ ექსპერტთა უმეტესობა ფოკუსირებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტზე და ნაკლებად აკეთებს აქცენტს პროგრამის კვლევითი კომპონენტის ხარისხზე, ჰოლისტურ მიდგომაზე;
- რჩევების/რეკომენდაციების უმრავლესობა ეხება პროგრამაში სწავლის შედეგების ფორმულირებას;
- ექსპერტები არ ეხებიან თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა: დიגיტალიზაცია, ინკლუზია და ა.შ.
- ექსპერტები აქცენტს არ აკეთებს ერთობლივი პროგრამების შემუშავებასა და რესურსების გაზიარებაზე.

ნაშრომში განხილული სადოქტორო განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რიგ და ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას უნივერსიტეტში. ამ თვალსაზრისით, მისასალმებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი მუშაობა და ინიციატივები სადოქტორო განათლების ოპტიმიზაციისა და გარე შეფასების სტანდარტების დახვეწის მიზნით. სწორედ მათ მუშაობაზე დაკვირვებით ვხედავთ, რომ გაიზარდა მოთხოვნა გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის; პლაგიატის აღმომჩენი მექანიზმების ეფექტურობის; სტუდენტური სერვისების განვითარების და სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება მნიშვნელოვანია პროცესის გაუმჯობესებისთვის.

რეკომენდაციები:

- ✓ სასურველია, სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენებოდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისაგან განსხვავებული სტანდარტები, ვინაიდან, მოცემული საფეხური ხასიათდება განსაკუთრებულობით, იგი მთავარ აქცენტს აკეთებს კვლევაზე და კვლევით ნაშრომზე და არა სასწავლო კრედიტების დაგროვებაზე.
- ✓ სასურველია, სადოქტორო პროგრამის შეფასებისას მთავარი აქცენტი გაკეთდეს კვლევაზე. ასევე, გათვალისწინებული იყოს ის თანამედროვე ტენდენციები, რომლის წინაშეც დგას სადოქტორო განათლება ევროპაში და არა მხოლოდ (დიგიტალიზაცია, ერთობლივი კვლევების წარმოების შესაძლებლობა და ა.შ.). სასურველია, აღნიშნული იქცეს ავტორიზაციის სტანდარტის ნაწილად.
- ✓ სასურველია, სადოქტორო განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები ახალისებდეს ინსტიტუციას, გააფართოოს აკადემიური კავშირები

როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე, საერთაშორისო დონეზე და შექმნას თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ინტერსექტორული პროგრამები; ერთობლივი პროგრამების შექმნა უნივერსიტეტებს დაეხმარება, გააერთიანონ მათ ხელთ არსებული რესურსები და გამოიყენონ ისინი განვითარებისთვის, უზრუნველყონ ხარისხიანი კვლევითი პროდუქტის მიღება, ისევე, როგორც ახალგაზრდა მკვლევრების მომზადება, რომლებიც შემდგომ საკუთარი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით წვლილს შეიტანენ საზოგადოების განვითარებაში;

- ✓ სასურველია, აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის მიზნით ჩატარდეს ინტენსიური სამუშაო შეხვედრები მათთან, რა დროსაც ძირითადი აქცენტები დაეთმობა პროცესის დიდი სურათის პერსპექტივიდან აღქმის საჭიროებას, ასევე, ისეთი საკითხების მხედველობაში მიღების აუცილებლობას, როგორებიცაა: სტუდენტისა და პროფესორის რაციო, კვლევის ხარისხი, დოქტორანტის მიერ ტრანსფერული უნარების შექმნის შესაძლებლობა, კვლევისთვის ჩატარებისთვის ადამიანური/მატერიალური/ფინანსური რესურსები.
- ✓ სასურველია, ქვეყნის მასშტაბით არსებობდეს სივრცე, სადაც თავს მოიყრიდა ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ წარმოებული/დაცული კვლევითი თემების შესახებ. მსგავსი ბაზის არსებობა საშუალებას მისცეს სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველს, წინასწარ განსაზღვროს, იქნება თუ არა მის მიერ არჩეული თემა ორიგინალური. ასევე, ასეთი ბაზა ხელს შეუწყობს აკრედიტაციის ექსპერტებსა და აკრედიტაციის საბჭოს პროგრამის გარე შეფასებისას მისი უნიკალურობის განსაზღვრისას;
- ✓ სასურველია, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, არსებობდეს ერთიან მონაცემთა ბაზა, სადაც ინსტიტუციას ექნება შესაძლებლობა დაინახოს, თუ რეალურად რამდენი დოქტორანტი ჰყავს კონკრეტულ სამეცნიერო ხელმძღვანელს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, ერთი ინსტიტუციის შიგნით ერთი პროფესორი შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე დოქტორანტს ხელმძღვანელობდეს, მის გარეთ კი რამდენიმე ათეული ჰყავდეს, რაც გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც პროგრამას, ისე კვლევის ხარისხს.